

იმკ-ის ინტერპრეტაცია 32

არამატერიალური აქტივები - ვებგვერდების დანახარჯები

წყაროები

- ფასს 3 - „საწარმოთა გაერთიანება“.
- ფასს 15 - „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“.
- ფასს 16 - „იჯარა“.
- ბასს 1 - „ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა“ (შესწორებული 2007 წელს).
- ბასს 2 - „მარაგები“ (შესწორებული 2003 წელს).
- ბასს 16 - „ძირითადი საშუალებები“ (შესწორებული 2003 წელს).
- ბასს 36 - „აქტივების გაუფასურება“ (შესწორებული 2004 წელს).
- ბასს 38 - „არამატერიალური აქტივები“ (შესწორებული 2004 წელს).

განსახილველი საკითხი

1. საწარმომ შეიძლება საკუთარი ხარჯები გასწიოს თავისი ვებგვერდის შექმნისა და ექსპლუატაციისთვის და შიდა ან გარე მოხმარების მიზნებისთვის. გარე მოხმარებისთვის შექმნილი ვებგვერდი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მიზნებისათვის, როგორცაა საწარმოს საკუთარი პროდუქციისა და მომსახურების რეკლამა და სტიმულირება, ელექტრონული მომსახურების უზრუნველყოფა და პროდუქციისა და მომსახურების გაყიდვა. შიდა მოხმარებისთვის შექმნილი ვებგვერდი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს კომპანიის პოლიტიკისა და მომხმარებელთა დეტალების შენახვისათვის და შესაბამისი ინფორმაციის მოსაძიებლად.
2. ვებგვერდის დამუშავების/შექმნის ეტაპები შეიძლება შემდეგნაირად აღიწეროს:
 - ა) დაგეგმვა - შეიცავს ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევის ჩატარებას, მიზნებისა და სპეციფიკაციების განსაზღვრას, ალტერნატიული და შერჩეული უპირატესობების შეფასებას;
 - ბ) პროგრამული უზრუნველყოფისა და ინფრასტრუქტურის დამუშავება - მოიცავს შიდა სახელის მოპოვებას, აპარატურული და ოპერაციული უზრუნველყოფის შექმნასა და დამუშავებას, დამუშავებული სისტემების დაინსტალირებასა და სტრესულ ტესტირებას;
 - გ) გრაფიკული დიზაინის დამუშავება - მოიცავს ვებგვერდის წარმოდგენის დიზაინს;
 - დ) შინაარსის დამუშავება - მოიცავს ვებგვერდის შექმნას, შესყიდვას, გრაფიკული ან ტექსტური ინფორმაციის მომზადებასა და ვებგვერდზე ატვირთვას მისი დამუშავების დასრულებამდე. ეს ინფორმაცია შეიძლება ინახებოდეს ცალ-ცალკე მონაცემთა ბაზებში, რომლებიც ინტეგრირებული იქნება ვებგვერდთან (ან ხელმისაწვდომი იქნება ვებგვერდის მეშვეობით), ან პროგრამულად იქნება გათვალისწინებული უშუალოდ ვებგვერდის ფუნქციებში.
3. როგორც კი დასრულდება ვებგვერდის დამუშავების ეტაპი, იწყება მისი ექსპლუატაციის ეტაპი. ამ ეტაპზე საწარმო ახდენს ვებგვერდის პროგრამების, ინფრასტრუქტურის, გრაფიკული დიზაინისა და შინაარსის ექსპლუატაციასა და გაუმჯობესებას.
4. შიდა ან გარე მოხმარებისთვის განკუთვნილი ვებგვერდის დამუშავებისა და ექსპლუატაციისთვის გაწეული შიდა დანახარჯების აღრიცხვისას ჩნდება შემდეგი საკითხები:
 - ა) არის თუ არა ვებგვერდი საწარმოში შექმნილი არამატერიალური აქტივი, რომლის მიმართაც გამოიყენება ბასს 38; და
 - ბ) როგორ აღრიცხება ასეთი დანახარჯები.

5. ეს ინტერპრეტაცია არ გამოიყენება ვებგვერდის ტექნიკური უზრუნველყოფის შესყიდვის, შექმნისა და ექსპლუატაციის დანახარჯებისთვის (როგორცაა, მაგალითად ვებსერვერები, წინასწარი ტესტირების სერვერები, საწარმოო სერვერები და ინტერნეტთან დამაკავშირებელი ტექნიკური საშუალებები). ასეთი დანახარჯი აისახება ბასს 16-ის შესაბამისად. გარდა ამისა, როდესაც საწარმო დანახარჯს გასწევს იმ ინტერნეტის პროვაიდერზე, რომლის საკუთრებაშიც იმყოფება საწარმოს ვებგვერდი, მაშინ ბასს 1.88-ისა და *ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების* მიხედვით დანახარჯი აღიარდება ხარჯად მომსახურების მიღებისას.
6. ბასს 38 არ გამოიყენება იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც საწარმო ინარჩუნებს გაყიდვის მიზნებისათვის ჩვეულებრივი საქმიანობის დროს (იხ. ბასს 2 და ფასს 15), ან არამატერიალური აქტივების იჯარასთან მიმართებით, რომელიც აღირიცხება ფასს 16-ის შესაბამისად. მაშასადამე, წინამდებარე ინტერპრეტაცია არ გამოიყენება ისეთი ვებგვერდის (ან ვებგვერდის პროგრამული უზრუნველყოფის) შექმნისა და ექსპლუატაციის დანახარჯების მიმართ, რომელიც განკუთვნილია სხვა საწარმოზე გაყიდვისთვის, ან აღირიცხება ფასს 16-ის შესაბამისად.

კონსენსუსი

7. თვითონ საწარმოს მიერ შექმნილი ვებგვერდი, რომელიც გამიზნულია შიდა ან გარე მოხმარებისთვის წარმოადგენს საწარმოს მიერ შექმნილი არამატერიალურ აქტივს და მის მიმართ გამოიყენება ბასს 38.
8. საწარმოს მიერ შექმნილი ვებგვერდი არამატერიალურ აქტივად უნდა აღიარდეს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც, ბასს 38-ის 21-ე პუნქტში აღწერილი აღიარებისა და თავდაპირველი შეფასების მოთხოვნების გარდა, საწარმო დააკმაყოფილებს ბასს 38.57-ის მოთხოვნებსაც. კერძოდ, საწარმომ შეიძლება მაშინ შეძლოს იმის დემონსტრირების მოთხოვნის დაკმაყოფილება, როგორ შექმნის ვებგვერდი შესაძლო სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს ბასს 38-ის 57(დ) პუნქტის მიხედვით, მაგალითად, როდესაც ვებგვერდს შეუძლია ამონაგების წარმოქმნა ისეთი პირდაპირი შესაძლებლობიდან, როგორცაა ვებგვერდის მეშვეობით შეკვეთების განთავსება. საწარმოს არ შეუძლია იმის დემონსტრირება, თუ როგორ შეძლებს მხოლოდ საკუთარი პროდუქციის ან მომსახურების რეკლამის ან სტიმულირებისათვის შექმნილი ვებგვერდი შესაძლო სამომავლო ეკონომიკური სარგებლის წარმოქმნას. შესაბამისად, ასეთი ვებგვერდის შექმნისთვის გაწეული ყველანაირი დანახარჯი ხარჯად უნდა აღიარდეს გაწევის მომენტში.
9. საწარმოს საკუთარი ვებგვერდის შექმნისა და ექსპლუატაციისთვის გაწეული ნებისმიერი შიდა დანახარჯი უნდა აღირიცხოს ბასს 38-ის მიხედვით. საწარმომ უნდა შეაფასოს ნებისმიერი საქმიანობის ბუნება, რომლისთვისაც გაწეულ იქნა დანახარჯი (მაგალითად, დასაქმებულთა სწავლება და ვებგვერდის მომსახურება) და ასევე ვებგვერდის შექმნის ეტაპი, ან მისი შემდგომი ეტაპი შესაბამისი სააღრიცხვო მეთოდის დასადგენად (დამატებითი მითითებები მოცემულია ამ ინტერპრეტაციაზე დართულ საილუსტრაციო მაგალითში). მაგალითად:
 - ა) დაგეგმვის ეტაპი ბასს 38-ის 54-56-ე პუნქტების კვლევის ეტაპის ანალოგიურია. ამ ეტაპზე მომხდარი დანახარჯი აღიარდება ხარჯად გაწევის მომენტში;
 - ბ) სისტემისა (პროგრამებისა) და ინფრასტრუქტურის დამუშავების ეტაპი, გრაფიკული დიზაინისა და შინაარსის დამუშავების ეტაპი იმ დროს, როდესაც შინაარსი ვითარდება იმ მიზნებისათვის, რომლებიც განსხვავდება საწარმოს საკუთარი პროდუქციისა და მომსახურების რეკლამისა და სტიმულირებისგან, ბუნებით ანალოგიურია ბასს 38-ის 57-64-ე პუნქტების განვითარების ფაზის. ამ ეტაპებზე გაწეული დანახარჯი წინამდებარე ინტერპრეტაციის მე-8 პუნქტის მიხედვით ჩართულ უნდა იქნეს არამატერიალურ აქტივად აღიარებულ ვებგვერდის დანახარჯში, როდესაც დანახარჯი შეიძლება პირდაპირ მიეკუთვნოს ვებგვერდს და აუცილებელია მისი შექმნის, წარმოების ან მომზადებისთვის, რათა მას შეეძლოს მოქმედება ხელმძღვანელობის მიზნების შესაბამისად. მაგალითად, დანახარჯი შინაარსის შექმნაზე ან შექმნაზე (გარდა იმ შინაარსისა, რომელიც რეკლამასა და სტიმულირებას უწევს საწარმოს საკუთარ პროდუქციასა და მომსახურებას) სპეციალურად ვებგვერდისთვის, ან დანახარჯი, რომელიც შესაძლებელს ხდის ვებგვერდის შინაარსის მოხმარებას (მაგალითად, რეპროდუქციების სალიცენზიო მოსაკრებელი), შეტანილ უნდა იქნეს ვებ-გვერდის შექმნის დანახარჯში, როდესაც ეს პირობა დაკმაყოფილებულია. თუმცა, ბასს 38-ის 71-ე პუნქტის

მიხედვით, დანახარჯი არამატერიალურ ნივთზე, რომელიც ადრინდელ ფინანსურ ანგარიშგებებში თავდაპირველად ხარჯად იყო აღიარებული, შემდგომში არ შეიძლება რომ აღიარდეს, როგორც არამატერიალური აქტივის დანახარჯის ნაწილი (მაგალითად, თუ საავტორო უფლების დანახარჯები მთლიანად იყო ამორტიზებული და მისი შინაარსი შემდგომში განთავსდა ვებგვერდზე);

გ) შინაარსის დამუშავების ეტაპზე მომხდარი დანახარჯი, როდესაც იგი ვითარდებოდა საწარმოს საკუთარი პროდუქტებისა და მომსახურების რეკლამისა და სტიმულირებისთვის, (მაგალითად, პროდუქტების ციფრული ფოტოგრაფიები), ბასს 38-ის 69(გ) პუნქტის მიხედვით უნდა აღიარდეს ხარჯად გაწევის მომენტში. მაგალითად, საწარმოს საკუთარი პროდუქტის ციფრული ფოტოგრაფიების გადაღებისა და მათი წარმოჩენის გასაუმჯობესებელი პროფესიონალური მომსახურების დანახარჯი უნდა აღიარდეს ხარჯად, ვინაიდან ეს მომსახურება მიიღება პროცესის დროს და არა როდესაც ციფრული ფოტოგრაფიები განთავსდება ვებგვერდზე;

დ) ოპერაციული ეტაპი იწყება, როდესაც მთავრდება ვებგვერდის შექმნაზე მუშაობა. ამ ეტაპზე მომხდარი დანახარჯი უნდა აღიარდეს ხარჯად გაწევის მომენტში, გარდა, როცა იგი აკმაყოფილებს ბასს 38-ის მე-18 პუნქტის აღიარების კრიტერიუმს.

10. ვებგვერდი, რომელიც აღიარდა, როგორც არამატერიალური აქტივი ამ ინტერპრეტაციის მე-8 პუნქტის მიხედვით, თავდაპირველი აღიარების შემდეგ უნდა აღიარდეს ბასს 38-ის 72-87-ე პუნქტების მოთხოვნების მიხედვით. ვებგვერდის სასარგებლო ეკონომიკური მომსახურების ვადა ხანმოკლე უნდა იყოს.

კონსენსუსის თარიღი

2001 წლის მაისი.

ძალაში შესვლის თარიღი

ეს ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2002 წლის 25 მარტს. ამ ინტერპრეტაციის მიღების შედეგები უნდა აღირიცხებოდეს 1998 წელს გამოცემული ბასს 38-ის გარდამავალი მოთხოვნების გამოყენებით. ამიტომ, როდესაც ვებგვერდი არ აკმაყოფილებს არამატერიალურ აქტივად აღიარების კრიტერიუმს, მაგრამ ადრე აღიარებული იყო აქტივად, მაშინ უნდა შეწყდეს ამ მუხლის აღიარება ამ ინტერპრეტაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის. როდესაც ვებგვერდი არსებობს და მისი შექმნისთვის გაწეული დანახარჯი აკმაყოფილებს არამატერიალურ აქტივად აღიარების კრიტერიუმს, მაგრამ ადრე აღიარებული არ იყო აქტივად, მაშინ უნდა მოხდეს არამატერიალური აქტივის აღიარება ამ ინტერპრეტაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის. როდესაც ვებგვერდი არსებობს და მისი შექმნისთვის გაწეული დანახარჯი აკმაყოფილებს არამატერიალურ აქტივად აღიარების კრიტერიუმს, მაგრამ ადრე აღიარებული იყო აქტივად და თავდაპირველად შეფასებული იყოს თვითღირებულებით, მაშინ თავდაპირველად აღიარებული ღირებულება მიიჩნევა სათანადოდ განსაზღვრულად.

ბასს 1-მა (შესწორებული 2007 წელს) შეცვალა ფასს სტანდარტებში გამოყენებული ტერმინოლოგია. გარდა ამისა, განაპირობა მე-5 პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. თუ საწარმო ბასს 1-ს (შესწორებული 2007 წელს) უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, ამავე პერიოდისთვის უნდა გამოიყენოს ეს ცვლილებებიც.

2014 წლის მაისში გამოცემულმა ფასს 15-მა – „*ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან*“ - გამოიწვია „წყაროები“ ნაწილისა და მე-6 პუნქტის შეცვლა. საწარმომ ეს ცვლილებები იმ საანგარიშგებო პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 15-ს.

2016 წლის იანვარში გამოცემულმა ფასს 16-მა – „*იჯარა*“ - გამოიწვია მე-6 პუნქტის შეცვლა. საწარმომ ეს ცვლილება იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 16-ს.

2018 წელს გამოცემულმა დოკუმენტმა - „*შესწორებები ფასს სტანდარტებში კონცეპტუალური საფუძვლების მითითებასთან დაკავშირებით*“ - გამოიწვია მე-5 პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება უნდა გამოიყენოს 2020 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური

პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება, თუ საწარმო იმავდროულად გამოიყენებს ყველა სხვა ცვლილებას, რომელიც განაპირობა დოკუმენტმა - „შესწორებები ფასს სტანდარტებში კონცეპტუალური საფუძვლების მითითებასთან დაკავშირებით“. საწარმომ იმკ 32-ში შეტანილი ზემოაღნიშნული ცვლილება უნდა გამოიყენოს რეტროსპექტულად ბასს 8-ის - „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილება სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“- შესაბამისად. თუმცა, თუ საწარმო დაადგენს, რომ შეუძლებელია, ან მიზანშეუწონელი დანახარჯები ან ძალისხმევა დასჭირდება ამ ცვლილების რეტროსპექტულად გამოყენებას, მაშინ მან ამ ცვლილების გამოყენებისას უნდა იხელმძღვანელოს ბასს 8-ის 23-28-ე, 50-53-ე და 54ვ პუნქტებით.